ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 93

"29" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის" (ს/ნ. 405475034) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. №28-ში (ს/კ. №01.12.08.003.003) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ქსანი თაუერის" (ს/ნ. 405475034) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. №28 (ს/კ. №01.12.08.003.003) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №21.1852.2079 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ქსანი თაუერის" (ს/ნ. 405475034) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 18 ნოემბრის განკარგულება №21.1612.1791) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №551, 19.112021) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ქსნის ქ. №28 (ს/კ. №01.12.08.003.003) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის გარეშე, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმდეს და მშენებლობის ნებართვა გაიცეს ისე, რომ მიწის

ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებული საანგარიშო ფართობი (კ-2 – 4.6-დან 10.4-მდე) განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციით;

ბ) არ გავრცელდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 24-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი რეგულირება;

გ) მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გადასცეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ფართი - ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ს ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**